1912

# ნაკადული

საყმაწვილო
ჟურნალი

·მცირე წლოვანთათვის·






მარტი.

№ 5

წელიწადი მე-VIII. № 5 მარტი, 1912 წ.



იყო და არა იყო რა...

საქართველოს სახელმწიფო
თბილისი
საჯარო ბიბლიოთეკა

# შინაარსი:


I — იყო და არა იყო რა...—სურათი . . . . . . . 1

II — მსუნაგი, - ლექსი შ. მღვიმელისა . . . . . . 3

III — კამფეტების ფულით, —(შემდეგი) ჰ. დ—ძისა . . . 5

IV — პატარა გმირი, —(ფრანგულით) გიორგი ჯაბადარისა. . 10

V — სტუმრად ბუსთან, —(თარგმანი) ნინო ავალიანისა . . 12

VI — —როგორ იცავენ თავს ცხოველები მტრისაგან, —
შემდეგი (გადმოკეთ.) გ. ანთელიძისა. . . . . . 18

VII — გასართობი: რებუსი, გამოცანები და ახსნა.. . : 24


ტფილისი, ელექტ.-მბეჭ. ს. ლოსაბერიძისა, მოსკოვის ქ., საკ. სახლი № 5.



# მსუნაგი.

(მიბაძვა).



როცა დედა მეზობლისას
მიდიოდა, უთხრა კესოს:
—გენაცვალე, მოუარე,
სანამ მოვალ, შენ მმას ბესოს:

თუ სატირლად მოემზადოს,
აღარ დადგეს, მოხსნას პირი,
აი აგერ თაროზე უწყვია
ჩურჩხელა და პანტის ჩირი.

დაუყვავე, უალერსე,
სათითაოდ მიაწოდე;
გაართე და ათამაშე,
ვიდრე სახლში მოვიდოდე.

იმ პატარა ჯამფილაში
რმეც კი არის მის სამყოფი;

შენ იცი, თუ არ ატირებ,—
უნდა ვნახო ავადმყოფი.

მართლა, აი კიდევ, შვილო,
მისი კაკლის ხრიალაცა,
აქვე არის ბესოს ჯოხი,
ჩიკორი და ზზრიალაცა...

სანამ ბესოს ღრმად ეძინა,
კესოს ხილი დაელია,
რაც რმე იდგა ჯამფილაში,
ისიც ურცხვად დაელია.

ტირის ბავშვი, აღარ დგება:
იჭაჭება ღრიალითა;
მშიერ მუცელს ვერ უმშვიდებს
კესო კაკლის ჩხრიალითა.

—

ყმაწვილებო, გეკითხებით,
ვინაც-კი ხართ ჭირში მთქმელი:
თუ ღმერთი გწამთ, როგორ მოგწონთ
მსუნაგ კესოს საქციელი?

**შ. მღვიმელი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კამფეტების ფულით.

(შემდეგი).

აი დასრულდა კიდეც გაკვეთილი. შეგირდები წამოდგნენ, დამწკრივდნენ და კარებისკენ გაეშურნენ. გაცოცხლდა ისევ სკოლის ეზო. მოსწავლენი ჟივილ-ხივილით გაიფანტნენ თოვლზე და ,,თოვლაობა‘‘ გამართეს. მხოლოდ ერთი სოსო-ღა მიერდნობოდა მზის ყურს და მოთამაშეთ ნაღვლიანად შესცქეროდა.

სანდრომ დაინახა, თოვლის გუნდა ხელიდან გააგდო, მივიდა მასთან და ჰკითხა:

— სოსო! რად არ თამაშობ? ავად ხომ არა ხარ?

— არა!—მოკლედ მიუგო სოსომ.

სანდრო ერთხანს ყოყმანობდა: სჩანდა, რაღაც უნდა ეკითხა, მაგრამ ერიდებოდა. ცნობის მოყვარეობამ მაინც სძლია და უფრო ტკბილი ხმით უთხრა:

— სოსო! თუ ძმა ხარ, მითხარი, რას ეჩურჩულებოდი კლასში მასწავლებელს?

— რად გინდა, რომ იცოდე!—მიუგო უგულოდ სოსომ და თვალები აუცრემლდა. ამხანაგის ცრემლებმა სანდროსაც გული

აუჩუყა; მასაც ცრემლები მოადგა თვალებზე და ვედრების კილოთი უთხრა:

— თუ ძმა ხარ, სოსო! შენი ჭირიმე, მითხარი: რად არ მოგიქსოვა დედამ შალის ხალათი?

სოსომ თავი აიღო, ნაღვლიანი თვალები სანდროს დააცქერა და, როცა შეატყო, რომ თანაგრძნობით ეკითხებოდა, მიუგო:

— დედა დამპირდა კიდეც—მოგიქსოვო, მაგრამ მატყლი რომ არ დაურჩა, რით მომიქსოვდა!

— როგორ თუ არ დაურჩა? აკი თქვენ ცხვრები გყოლიათ!

— ცხვრები კი გვყავს, მაგრამ მატყლი კი არ გვაქვს.

— ბიჭოს! თქვენი ცხვრები უმატყლოა, თუ არ კრეჭთ?

— კიდეც გავკრიჭეთ და კიდეც გაგვაყიდვინეს „ფოსტის“ ფულში,—თქვა სოსომ და გული ამოუჯდა.

— მერე ფოსტა რა თქვენი საქმეა! გაზეთი მოგდით თუ?

— რის გაზეთი! რას ამბობ? ჩვენი ფოსტა მაქსიმე და პეტრეა, აი ისინი—კანცელარიაზე რომ ბიჭებია. ისინი ხომ უჯამაგიროდ არ იქნებიან! ხოლო იმათ ჯამაგირს სოფელი იხდის; მასწავლებელსაც ხომ სოფელი აძლევს ჯამაგირს; აი ამისთანა ფულებს მამასახლისი კრეფს სოფელში, და ვისაც ფულად არ ექნება, ბალიშებს, ნოხს *) ან კიდევ ქვაბს გააყიდვინებენ; აქამდინ შენ ესენი არ იცოდი განა?

— არა!—მიუგო სანდრომ და თან გაკვირვებით და თან ნაღვლით უცქერდა ამხანაგს.

— მაშ დედაშენს ფული სულ არა აქვს?—განაგრძო მან ცოტა სიჩუმეს შემდეგ: დილაობით კამფეტების ფულს არ გაძლევს დედა?

— რას ამბობ? რის კამფეტები! კამფეტები რად მინდა?—გაიკვირვა სოსომ.

---

*) ნოხი ხალიჩაა.

ამ გაკვირვებამ სანდრო უფრო გააკვირვა.

— როგორ თუ არ გინდა! მაშ ფული რომ გქონდეს, კამფეტებს არ იყიდდი?

— არა! ფული მქონდეს, თორემ რას ვიყიდდი, კი ვიცი.

— აბა რასა?

— რას და ტანისამოსს.

დარეკეს. გაკვეთილები კვლავ დაიწყო. გათავდა ოთხი გაკვეთილი. ყმაწვილებმა წიგნები აიღეს, ლოცვა მოისმინეს, მასწავლებელს გამოემშვიდობნენ და ყიჟინით გაექანნენ შინისკენ. სანდრო და სოსოც გამოვიდნენ სკოლიდან. წვიმდა. თოვლი გალხობილიყო და გზები ალაფებულიყო. სანდროს ხახული ეზოს კარებში იდგა და ბატონის შვილის გამოსვლას ელოდებოდა.

— მე დღეს ფეხით წამოვალ!—უთხრა ხახულის სანდრომ, როცა ის მისწვდა მას ასაყვანად. ხახული ძლიერ გააკვირვა ყმაწვილის ამგვარმა ქცევამ, მაგრამ პასუხი არ შეუბრუნა; ერიდებოდა, ვაი თუ იწყინოსო.

სანდრო სოსოს გვერდით მიდიოდა; ხახული კი უკან მისდევდა ყმაწვილებს.

— ნახვამდის!—სთქვა სანდრომ და ხელი გაუშვირა სოსოს, როცა ის თავის ეზოს ჭიშკართან შეჩერდა.

— მშვიდობით,—მიუგო სოსომაც, გადახტა ეზოში და თავის პატარა ქოხში შევიდა. მალე სანდროც თავის მამის დიდი ოდის აივანზე იდგა და ხახული ჩვარით წაღებს უწმენდდა.

— გენაცვალოს დედა! ეგ რა დაგმართნია? რამ დაგისვარა წაღები?! ბიჭო, ხახული! რა მეხი დაგეცა! რამ გასვარა ეგ ბავშვი! ფეხით წამოვიდა განა!.. შენ რაღას აკეთებდი?.. გაგიჭირდა მაგის ზიდვა?!.—გამოსძახა ფანჯრიდან სანდროს დედამ.

— არა, დედიკო, ხახულის ბრალი არ არის; მაგას ნუ უჯავრდები: ცხენი ხომ არ არის, რომ ზურგით მატაროს! ჩემი ამხანაგები სულ ფეხით დადიან სკოლაში. მეც ჩემი ფეხებით უნდა ვიარო! — თქვა სანდრომ და მხიარულად შევარდა სახლში.

## II

სანდროს მამა სოფელ გორაკეთის მდიდარი აზნაური იყო. იმის ოჯახში სამი-ოთხი გოგო-ბიჭი მუდამ მსახურობდა.

კეთილ დედ-მამას სანდრო გაგიჟებით უყვარდათ. იმის სიამოვნებისათვის არაფერს ჰზოგავდნენ. რადგან სანდრო ჯერ კიდევ პატარა იყო, მშობლები ვერ იშორებდნენ და ამისათვის დროებით თავის სოფლის სკოლაში მიაბარეს: — აქ შეეჩვევა, ცოტას გავარჯიშდება და მერე ქალაქში ყოფნას და ჩვენს მოშორებას ადვილად აიტანსო, — ფიქრობდნენ მოსიყვარულე მშობლები. ყოველ დილას დედა კოხტად გამოაწყობდა სანდროს, ასაუზმებდა, ჯიბეში ორ შაურს ჩაუდებდა ხილისა და კამფეტების საყიდლად, გადაჰკოცნიდა, გაადევნებდა უკან ხახულს, რომელსაც მხრებზე უნდა შეესვა ყმაწვილი ცუდ დარში და ასე გაისტუმრებდა სკოლისაკენ.



სოსოც სანდროს მეზობლად ცხოვრობდა, მაგრამ მისი მდგომარეობა სანდროსას სულ არა ჰგავდა. ის ერთი ღარი-

ბი გლეხის ობოლი იყო და ახლა ქვრივ დედისა და მოხუცი მამიდას ანაბარა იზრდებოდა. ამ საბრალო ქალებსაც მხოლოდ სოსოზე ამოსდიოდათ მზე: ის იყო იმათი მომავალი ნუგეში; მაგრამ მეტი სიღარიბის გამო სიყვარულის მეტს სანუგეშოს ვერაფერს აწვდიდნენ სოსოს თავ-თავის დროზე. ხშირად უზმოთაც-კი შეხვდომია სოსოს სკოლაში წასვლა, და თუ ერთ ნატეხ ცივ მჭადთან ყველის პატარა ნაჭერსაც მისცემდნენ, ეს დიდი სამასპინძლო იყო მისთვის. ტანისამოსის ფერად-ფერადობას ვინ დაგიდევდა! თუ კი ვისიმე გამონაცვალს იშოვნიდნენ და გამოუკერავდნენ, სოსო ამითაც კმაყოფილი იყო. ხშირად წიგნებსა და რვეულებსაც ვერ შოულობდა სოსო თავის დროზე, მაგრამ მიუხედავად ამისა მაინც ბეჯითად სწავლობდა და საუკეთესო მოწაფედ ითვლებოდა კლასში; თანაც ძლიერ მშვიდი და გულ-კეთილი ბავშვი იყო. აი ამისათვის ის ძლიერ უყვარდა მასწავლებელს და ამხანაგებიც კი აფასებდნენ.

თვით სანდროც სოსოს უფრო უახლოვდებოდა, ვიდრე სხვა ამხანაგებს, მაგრამ დღემდე ფიქრადაც არ მოსვლია იმის ყოფა-ცხოვრებისათვის ყურადღება მიექცია. ის გააკვირვა სოსოს პასუხმა:—დედა კამფეტების საყიდლად ფულს არ მაძლევსო. სანდროს ეგონა, ყველა ამხანაგები მასავით ფუფუნებაში ცხოვრობდნენ. ამ დღევანდელმა შემთხვევამ და სოსოსთან ლაპარაკმა თვალები აუხილა და ბევრი ისეთი რამ გააგებინა, რაც არ იცოდა. აი ამისათვის იმან რაღაც პატივისცემა და მადლობა იგრძნო სოსოსადმი და უფრო დაუახლოვდა.

პ. ლ—ძე.

(დასასრული იქნება.)



# პატარა გმირი.

(ფრანგულით).

მდინარის პირას ათი წლის ბავშვი თამაშობდა. ისეთი გაბედული და ყოჩაღი სახე ჰქონდა, რომ, შეხედავდით თუ არა, იმ წამსვე იტყოდით, გმირიაო.

ცოტა ხნის შემდეგ მოვიდა მეორე ბავშვი, გაცილებით პირველზე პატარა: ექვსი წლისა არც-კი იქნებოდა. ამანაც წყლის პირას დაიწყო თამაშობა.

უცებ ფეხი გაუსხლტა და მდინარეში ჩავარდა. ერთი-კი მოასწრო დაეყვირა: ვაიმე, დედა, მიშველეთო, და მსწრაფლ ჩასძირა. იხრჩობა საწყალი ბავშვი, მშველელი-კი არსადა სჩანს.

დაინახა თუ არა ათის წლის ბავშვმა, რომ პატარა ბიჭი იხრჩობოდა, ისკუპა წყალში და დიდის წვალების შემდეგ წყლიდან გამოიყვანა.

ამასობაში ხალხიც მოგროვდა. ყველანი ვაშას უყვიროდნენ; ზოგი ჰკოცნიდა კიდეც პატარა გმირს.

— ყოჩაღ, ყოჩაღ! ბიჭო!.. გაიძახოდნენ.

ერთმა წამოიძახა:

— ბიჭო, შენ გაზდას, ერთი შენი სახელი გვითხარი... ყველამ ბანი მისცა...

— ჰო, ჰო, შენი სახელი გვითხარი...

— ჩემი სახელი? — უპასუხა გმირმა— რა საჭიროა? იქნება იმიტომ გინდათ გაიგოთ ჩემი სახელი, რომ წახვიდეთ და მამა ჩემს უთხრათ, შენი შვილი მდინარის პირას თამაშობდაო, და მამამ ამისთვის მცემოს? არა, არ გეტყვით ჩემს სახელს...

**გიორგი ჯაბადარი.**



ყრმა იესო.



# სტუმრად ტყეში.

(თარგმანი).



ხედავ, ვანო, კიდეც დაღამდა. დაწექ, გენაცვალე, დაიძინე,—ეუბნება გადია პატარა ვანოს და თან აწვენს რბილ ლოგინში.

— კარგი, გადია, ამ საათშივე დავიძინებ,—უპასუხებს ვანო,—ოღონდ-კი მითხარი, რა ხდება ახლა ტყეში? ყოფილხარ როდისმე ტყეში ღამე?

— იი, შვილო! რას ამბობ? ღამე ტყეში რა წამიყვანს? იქ ხომ ამ დროს ქაჯები ირევიან... დაიძინე, შვილო...



ვანო დაწვა, გადია-კი მივიდა ფანჯარასთან და ფარდა

ჩამოუშვა, მაგრამ კარგად-კი ვერ ჩამოაფარა: მთვარის ნათელი, ალმასებრივი სხივი შემოიჭრა ოთახში და პირ-და-პირ ვანოს საწოლს ეკვეთა.

— წამოდი ჩემთან, ვანო, ვნახოთ რა ხდება ღამე ტყეში,— ჩასჩურჩულებს ვანოს ნათელი სხივი.

ვანოს უხარიან: თუმცა-კი ეშინება, მაგრამ ტყეში მაინც ძლიერ უნდა წასვლა, უნდა ნახოს რა ხდება იქ. სწრაფად წამოხტა და მოჰკურცხლა მთვარის შუქით განათებულ ბილიკით ტყისკენ; იმ ბილიკით, შავად რომ მოსჩანდა ფანჯრიდან.

— უჰ, უჰ!— ესმის ვანოს ტყეში რაღაც ყვირილი: იქნება მართლა ქაჯია, რომელზედაც ბადია მიამბობდა,— ფიქრობს შემკრთალი ვანო; მაგრამ სურვილმა დასძლია, მიუახლოვდა ხეს, რომლიდანაც ისმოდა ეს ხმა. იქიდან გამოიცქირებოდა ორი დიდი მრგვალი თვალი, როგორც ორი ყვითელი ლიფლიფა.

ხედავს ვანო, რაღაც ფრინველი ზის: მსხვილი ტანი აქვს, უშველებელი მაგარი თავი, ყურებსა და თვალებს თითქმის მთელი თავი უჭირავთ. ხის შტოსთვის მაგრად ჩაუბღუჯია ბურტყლიანი ფეხები და თავს აქეთ-იქით აქნევს.

— რა მიზეზია, რომ არ გძინავს?— დაეკითხა, ვანო:— ძალიან-კი შემაშინე: მეგონა, ქაჯი ყვირის მეთქი.

— უჰ, უჰ! პაწია სულელო,— ქაჯი გეგონე? ქაჯები არ არიან ტყეში და არც როდისმე ყოფილან. დაიჯერე ჩემი სიტყვა, მე ხომ ყველაფერი ვიცი, რაც აქ ხდება. ტყუილად-კი არ მეძახიან ღამის ფრინველს. მთელი დღე თვალ-დახუჭული ვზივარ ფუღუროში, სხვა-და-სხვა ფიქრებში გართული. დღე მეტი საქმეც არა მაქვს: არ მიყვარს მზის შუქი, თვალებს მტკენს და კარგად ვერ ვხედავ; მაგრამ, როგორც-კი დაღამდება, მაშინვე ვიღვიძებ, შევიბერტყები კარგად, გავლამაზდები და შრომას შევუდგები.

— რას აკეთებ?

— რას ვაკეთებ? ბევრს, ძალიან ბევრ რასმეს. თქვენთვის,



ხალხისთვის, დიდი სარგებლობა მოგვაქვს; მხოლოდ ყველა-ნი-კი ვერ აფასებთ ამას. აი შენი გადია ქაჯებს გვეძახის: ჰგონია, ქაჯები ყვირიანო; ის-კი არ იცის, რომ ჩვენ ერთ-მანეთს ვეხმაურებით. ზოგს კიდევ ჰგონია, რომ ჩვენ პატარა ჩიტებზე ვნადირობთ, როცა ღამე თავიანთ ბუდეებში სძინავთ. ესეც ტყუილია: იშვიათად ვახლებთ ხოლმე ხელს; ჩვენთვის საკმარისია მინდვრის და ტყის თაგვები, სხვა-და-სხვა ჰეჰელე-ბი, ბუზები, ჭიები, რომლებიც ღამ-ღამობით გამოძვრებიან ხოლმე თავაინთ სოროებიდან. ამ მწერებს მეტად დიდი ზარა-ლი მოაქვთ: აფუჭებენ პურის მარცვალს, ხის ყლორტებს, ღრღნიან ფესვებს. რომ არ ვიყვნეთ ჩვენ და ჩვენი მეგობრე-ბი—ღამურები და მაჩვები, რომლებიც ჩვენსავით ღამით გა-

მოდიან თავიანთ სოროებიდან თაგვების და გველხოკერების საძებნელად, ცუდი დღე დაადგებოდა ყანებს და ხეხილს.

— ძალიან-კი გავერთე შენთან მუსაიფში,—დაუმატა ბუმ, — მთელი დღე გაჩუმებული ვზივარ, არავინაა, რომ დაველაპარაკო, და ახლა ვსარგებლობ შემთხვევით, გემუსაიფები. გინდა გიჩვენო ტყე ღამით? გავფრინდეთ ერთად.

ამ სიტყვებთან ერთად ბუმ მძიმედ აიქნია ფრთები და დასწვრივ გაფრინდა წყნარად, უხმოდ, თან გზა-გზა ანადგურებდა სხვა-და-სხვა მწერებს, რომლებიც მთვარის შუქზე დანავარდობდნენ.

ვანოც ბუს გაჰყვა. თითქოს თვითონაც ბუთ გადაქცეულიყოს, ისე მიჰქროლავდა ჰაერში, ერთ წუთსაც არ ჩამორჩენია თავის ნაცნობს.

აი გადაიარეს ტყე და მიადგნენ პატარა კორდს. აქ დათარეშობდნენ პატარა ნაცრისფერი ცხოველები; პირი წვეტიანი ჰქონდათ, კუდები გძელი, ბრჭყალები ბასრი. პაწია ბასრი კბილებით ღრღნიდნენ ახალგაზდა ხის ქერქს, საოცარი სისწრაფით ანადგურებდნენ, რაც-კი შეხვდებოდათ: ფოთოლი, ფესვი, ხილი თუ თესლი.

— ჰა, მოგატანეთ ჩემო კარგებო!—წაიჩურჩულა ბუმ და თვალის დახამხამების უმალ ყველაზე მსუქანი თაგვი მასლობელ ხეზე აიტაცა, სწრაფად გადასანსლა და ახლა სხვებს მიუბრუნდა. თაგვები-კი არხეინად განაგრძობდნენ თავიანთ საქმეს; ჯერ ვერ ამჩნევდნენ, რომ მათი რიცხვი კლებულობდა. ბევრი ნაცრის ფერი ტყავი დათვალა ვანომ იმ ხის ძირას, რომელზედაც ბუმ ისაუზმა.

— ძალიან მადიანად-კი შეექცევი...—უთხრა ვანომ.



ამ დროს ბუსთან მოფრინდა ერთი მეტად სასაცილო ცხოველი. ვანოს პირველად, როცა იმის დიდ,

გაფარჩხულ ფრთებს შეხედა, ფრინველი ეგონა: რა უცნაური ფრთები ჰქონდა! კუთხოვანი, ხმელი, თხელ-კანიანი, ერთმანეთზე გადაბმული; ტანიც მოკლე, ჩასხმული, ნაცრის ფერი ბალნით დაფარული; თავი ჰქონდა სქელი, პირი განიერი, თითქმის ყურებამდის ჩახეული; ყურები თავის ორივე მხრივ ხელსახოცის გამოკვანძულ ბოლოებსავით ჩამოჰკიდებოდა, შავი მძივებივით პატარა თვალები ჰქონდა, წინა ფეხებზე გძელი, გაფარჩხული თითები, თითებს შუა ხმელი კანი—ფრთების მსგავსად. ვანო ამ ცხოველის დანახვაზე შეშინდა და შორს ისკუპა.



—უჰ, უჰ!—გაეცინა ბუს:—ესეც ღამის ცხოველია, ღამურას ემახიან; სრულებითაც არ არის საშიშარი. ეგეც ბევრ მავნე მწერს ახანავებს: ტყუილად-კი არა აქვს უშველებელი პირი და ბასრი კბილები.

მთვარე ხან ევარებოდა ღრუბლებს, ხან ხელ-ახლა გამოცურდებოდა და შუქს ჰფენდა ხეებს და მინდვრებს, რომლებზედაც დაჰქროლავდა ვანო თავის მეგობარ ბუსთან ერთად.

ჩიტებს თავი ფრთებქვეშ ამოედოთ, მობღუნმულიყვნენ და თავიანთ ბუდეების პირზე ტკბილ ძილს მისცემოდნენ. ხან-და-ხან რომელიმე პაწია ნაცრის ფერი ჩიტი უცხო რამე ხმაურობით შეშფოთებული დაიწრიპინებდა ძილში და ხელ-ახლა მიიძინებდა აკვანივით მრხეველ ტოტზე. აგერ მდელოზე გამოხტა კურდღელი, შედგა უკანა ფეხებზე, წინა ფეხები პირზე მოიცაცუნა, შეათამაშა ულვაშები, შეიბერტყა ყურები, შემდეგ მიირბინა წი-

ნადვე ამორჩეულ ბუჩქთან და ახალგაზდა ყლორტებს ღრღნა დაუწყო; მაგრამ არ დასცალდა ეშმაკს! საცოდავად დაიკნავლა და მიწაზე ჩაიკეცა. ხედავს ვანო — რაღაც ვეება ფრინველი უჩუმრად მიჰპარვია ნაცარას და მაგრად ჩაუჭიდია ბრჭყალები.

ეს ბიძა ჩემი ჭოტია, ეგეც სამუშაოდ გამოსულა. ცუდ დღეს დააყენებს საწყალ კურდღლებს და თაგვებს; მართალია, არც პატარა ჩიორებს იწუნებს, მაგრამ ამისათვის გაჯავრება მაინც არ შეიძლება; ყველა ჭკვიანი, სწავლული კაცი სასარგებლო ფრინველად იცნობს. უიმისოდ მღრღინავი ცხოველები მთლად გადასჭამდნენ მინდვრებში ჭირნახულსა და ბაღებში ბოსტნეულობას.

**ნ. ავალიანი.**

(დასასრული იქნება).



# როგორ იცავენ ცხოველები თავს მტრისაგან.

(შემდეგი).

## 2. დამცველი იარაღი.



ცხოველმა რომ გაქცევით თავის დაცვა შესძლოს, საჭიროა სწრაფი სირბილის უნარი ჰქონდეს; ამ უნარს-კი ბევრი ცხოველი მოკლებულია. აშკარაა, რომ იმათ თავის დაცვისათვის სხვა საშუალება უნდა ჰქონდეთ, და მართლაც — ბევრია ისეთი ცხოველი, რომელიც მტრის მოახლოვების დროს სრულებით გაქცევას არ ფიქრობს, რადგან მათ გაქცევას არავითარი აზრი არ ექნებოდა: პირველად იმიტომ, რომ სირბილში მალიან სუსტობენ და მეორედ—იმიტომ, რომ მტრისაგან თავს სხვაგვარად იცავენ.

ავიღოთ მაგალითად კუ. ამ ცხოველის სხეული რქის მაგარ ბაკანშია მოთავსებული. ეს ბაკანი ისეთი მაგარია, კაცი რომ ზედ ფეხით შედგეს, ვერ გასტეხს. ეს ბაკანი ის იარაღია, რომლითაც კუ მტრისაგან თავს იცავს. ეს იარაღი რომ არ ჰქონდეს, კუს სახსენებელიც არ იქნებოდა დედამიწის ზურგზე. კუს არ შეუძლიან გაქცევით თავი დააღწიოს მტერს, რადგან სირბილი სრულებით არ შეუძლია; ამ მხრივ იმდენად სუსტია, რომ, როცა უნდათ აღნიშნონ საქმის ნელი წარმოება, ამბობენ: კუს ნაბიჯით მიდისო.

როცა ამ ცხოველს მტერი თავს ესხმის, ის კურდღელსავით არ გარბის; პირ-იქით—ჩერდება, თავსა და ფეხებს შე-



კუ ზოოლოგიურ ბაღში.

კუმშავს, მთლად თავის მაგარ ბუდეში იმალება და ამ მდგომარეობაში მანამდის რჩება, სანამ მტერი არ მოშორდება.

ამნაირი დამცველი იარაღი, კუს გარდა, სხვა ბევრ ცხოველსაც აქვს.

სამხრეთ-აფრიკაში ცხოვრობს პატარა ცხოველი, რომელსაც ,,ჯავშნოსანი'' ჰქვიან. ასეთ სახელწოდებას ეს ცხოველი



ჯავშნოსანი.

იმიტომ ატარებს, რომ იმისი სხეული ჯავშანის მაგვარი ბუდითაა დაფარული. როცა ის მტრის სიახლოვეს გრძნობს, ფეხებს, თავსა და კუდს ჯავშანში მალავს და ამ მდგომარეობაში მანამ რჩება, სანამ მტერი თავს არ გაანებებს, ესე იგი სწორედ ისე იქცევა, როგორც კუ.

ალბად ყველას უნახავს ზღარბი. ამ ცხოველის სხეული თავისა და ფეხების გარდა, მაგარი და წვეტიანი ბალნითაა დაფარული. როცა ზღარბს თავს ესხმის ძაღლი, მელა ან მგელი, მაშინვე ბურთივით დარგვალდება: ტიტველ თავსა და ფეხებს იმგვარად მალავს, რომ ირგვლივ მთელი სხეული ნემსებითა აქვს დაფარული. ამ მდგომარეობაში მყოფი ზღარბი უზრუნველ-ყოფილია მტრისაგან.



ზღარბი.

შეადარეთ ზანტი კუ მარდ ხვლიკს და დაინახავთ, რომ თვითეული მათგანს აქვს განსაკუთრებული იარაღი თავის დასაცავად. კუს, ზღარბს და სხვა მათგვარ ცხოველებს აქვთ დამცველი იარაღები, სამაგიეროდ მოკლებულნი არიან სიმარდეს და სწრაფი სირბილიც არ შეუძლიანთ. პირ-იქით, ზანტნი და მოუხეშავნი არიან, ალბად იმიტომ, რომ იმათთვის ეს თვისებები საჭირო არაა, რადგან სხვა არა ნაკლებ საიმედო იარაღებით არიან აღჭურვილნი თავის დასაცავად.

კურდღელს, ხვლიკს, ირემს, ცხენს და სხვა ცხოველებს არა აქვთ, როგორც კუს, განსაკუთრებული იარაღი თავის დასაცავად, სამაგიეროდ ბუნებამ ისინი სხვანაირად დააჯილდოვა: ისინი მსუბუქი, ხერხიანი და მარდი ცხოველები არიან;—აქვთ მშვენიერი ყნოსვა და სმენა, ჭკუა-გონებითაც,

სხვებთან შედარებით, მაღლა სდგანან: ცხენი რომ ჭკვიანია, ეს ყველამ იცის; კურდღელიც არაა ისეთი სულელი, როგორც ბევრსა ჰგონია.

ბევრი ცხოველია, რომელთაც, როგორც კუსა და ზღარბს, განსაკუთრებული დამცველი იარაღები აქვთ. ბევრი თევზია ზღარბსავით მშვენივრად შეიარაღებული ეკლებით. არის ერთი თევზი, რომელსაც მთელი სხეული ზღარბსავით ეკლებით აქვს შემოსილი; ამ თევზს ,,ზღარბ-თევზას'' ეძახიან.

არის კიდევ თევზი, რომელსაც შუა-ტანი ნემსივით წვეტიან მვლებით აქვს დაფარული; განსაცდელის დროს ეს თევზი გაიბერება ხოლმე, ბურთს დაემსგავსება და ვაი იმ თევზს, რაც უნდა დიდი; რომელიც გაბედავს და გადაყლაპავს.



ზღვის ზღარბი.

ზღვაში ცხოვრობს კიდევ ერთი ცხოველი, რომელსაც ,,ზღვის ზღარბს'' უწოდებენ. ამ ცხოველს ასეთი სახელი იმიტომ ჰქვიან, რომ ტანი ზღარბსავით ეკლებით აქვს შემოსილი, რომლებითაც ის მტრებისგან თავს იცავს.

ყველას უნახავს ლოკოკინა. ამ ცხოველის სხეული უძვლო და ერთობ რბილია. ყველამ იცის, როგორი ზანტი ცოცვა იცის იმან, მაგრამ საკმაოა ლოკოკინა რაიმე საშიშოს წააწყდეს, რომ მაშინვე შეიკუმშოს, მთლად დაიმალოს თავის ნიჟარაში და დიდხანს ეგრე გაუნძრევლად დარჩეს. რა არის ეს ნიჟარა? აშკარაა, რომ ის ლოკოკინას დამცველი იარაღია.



ლოკოკინა.

ლოკოკინას მსგავსი ცხოველი ბევრია, ბევრს იმათგანს ნიჟარა არა აქვს. სამაგიეროდ შედარებით უფრო მარდნი და სწრაფნი არიან, და ეს თვისებები ნიჟარის მაგიერობას უწევს.

არის სხვა მრავალი საშუალება, რომლებითაც ცხოველები მტრებისგან თავს იცავენ.

არიან ისეთი ცხოველები, რომელთაც არც ეკლები და არც ჯავშანი გააჩნიათ, მაგრამ მიუხედავად ამისა მშვენივრად არიან შეიარაღებულნი თავის დასაცავად განსაკუთრებული იარაღით. ეს ცხოველები, როცა მტერი მიუახლოვდება, ტანის უკანა ნაწილს მიუშვერენ და ერთგვარ სითხეს შეასხამენ. ეს სითხე იმითაა შესანიშნავი, რომ საშინლად ყარს და მტერს გააქცევს ხოლმე.

ამერიკაში ბინადრობს ერთი ცხოველი, რომელსაც ამერიკელები მყრალ-მყრალას ეძახიან. ის მტერს როდი გაექცევა ხოლმე: მიუშვებს ახლო, უცბად შეტრიალდება და მყრალ სითხეს შეასხამს. ამბობენ, ამ სითხეს ისეთი სუნი აქვს, რომ ადამიანსა და ცხოველებს სულს უხუთავს, სუნთქვას უშლისო. ბევრს გული წასვლია იმისგან. ძაღლებზე-კი ისე ცუდად მოქმედობს, რომ მიწაზე ეცემიან ხოლმე და შემზარავი ხმით ღმუიან. თუ ეს მყრალი სითხე ტანისამოსს მოხვდა, მშვიდობით: ცუდი სუნის მოშორება ტანისამოსისათვის ყოვლად შეუძლებელია, ასე რომ პატრონი მას უნდა გამოეთხოვოს.



მყრალ-მყრალა.

ზოგიერთი მწერი უზრუნველ-ყოფილია მტრისგან თავის სიმყრალით, ბევრი შხამიანია; სხვები გემრიელი არ არიან. ეს თვისებები—საშუალებაა, რომლითაც ისინი მტრისაგან თავს იცავენ.

ყველამ იცის, როგორი ცუდი სუნი აქვს ხის ბაღლინჯოს: ბევრი ფრინველისათვის ბაღლინჯოს სუნი ისეთი აუტანელი რამ არის, რომ ვერაფერს ვერ აკლებენ ამ მწერს. მოხდება ხოლმე, რომ მალზე მოშივებული ჩიტი ნისკარტს ჩაჰკრავს ამ ბაღლინჯოს, მაგრამ იმ წამსვე თავს განებებს, იგემებს რა მის სიმყრალეს.



ხის ბაღლინჯო.

ისეთი მწერებიც არიან, რომელნიც განსაცდელის დროს მყრალი სითხით უმასპინძლდებიან თავიანთ მტერს.

გ. ანთელიძე.

(შემდეგი იქნება)

# რებუსი.

(წარმოდგენილი დ. კარბელაშვილის მიერ).




# გამოცანები.

(ხალხური, ჩაწერილი აგაფონ გუნიავას მიერ).

1. წვერი აქვს — კაცი არ არის; ბალანს სმოვს — ცხენი არ არის; რქები აქვს — ხარი არ არის.
2. ერთ პატარა ოთახს თავზე ცეცხლი უკიდია.

**მე-4 №-ში მოთავსებულ რებუსის ახსნა:**

ჯავახეთი.

რედაქტორი: **ნინო ნაკაშიძე.** გამომცემელი: **თ. პ. ი. თუმანიშვილი.**

# „ნაკადული“-ს რედაქციაში

და

წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში

იყიდება შემდეგი წიგნები:


1) **ზღაპრები ვილჰელმ და იაკობ გრიმისა.**— ფასი. 30 კ.

2) **ტომის თავგადასავალი,**— თხზულება მარკ ტვენისა, ფასი . . . . . . . . . 50 კ.

3) **რას გვიამბობს ოთახი,**— თხზულება ავენარიუსისა, ფასი . . . . . . . . 20 კ.

4) **დასურათებული ასაწყობი ანბანი,**— ფასი. 1 მ. — „

5) **სკრუჯი და მარლეი,**— საშობაო მოთხრობა ჩარლზ დიკკენსისა, ფასი. . . . . . 25 კ.

6) **დასურათებული საყმაწვილო მოთხრობები**— ჰ. ქ. ანდერსენისა, ერ. სეტ. ტომპსონისა, გ. ინსაინისა და რ. კიპლინგისა. ფასი . . . . . 30 კ.

7) **ორი მხატვარი,**— თარგმანი დ. ავალიანისა ფასი . 15 კ.

8) **სამშობლო ბუნების სარკე, დასურათებული საყმაწვილო მოთხრობები,**— ივანე ელიაშვილისა ფასი. . . . . . . . . . 30 კ.

9) **ამხ. „ცისკრის“ გამოცემა:**— ლევ ტოლსტოის მოთხრობები, ფასი . . . , . . 5 კ.

10) **შობა, მოთხრობა გურიის ცხოვრებიდან,**— ნინო ნაკაშიძისა ფასი, . . . . . . . 5 კ.

# 1912 წ. მიიღება ხელის მოწერა

დასურათებულ საყმაწვილო ჟურნალ

# „ნაკადულ“-ზე

✦ წელიწადი მერვე ✦

ჟურნალი გამოვა ჩვეულებრივი პროგრამით და საგანგებოდ არჩეულ სარედაქციო კომისიის ხელმძღვანელობით, მონაწილეობას ღებულობენ ჩვენი ცნობილი მწერლები და პედაგოგები.

წლიურ ხელის მომწერლებს მიეცემათ:

**24** წიგნი „ნაკადულისა“ მცირე წლოვანთათვის. **12** წიგნი „ნაკადულისა“ მოზრდილთათვის.

საჩუქრად მიეცემათ წლიურ ხელის მომწერლებს

✦ **დასურათებული 120-ზე მეტი ორიგინალური იგავ-არაკი ალ. მირიანაშვილისა.** ✦

ფასი ჟურნალისა: წლიურად ორივე გამოცემა **5** მან. ნახევარ წლით — **3** მან., ცალ-ცალკე: მცირე წლოვანთათვის **24** წიგნი — **3** მან. მოზრდილთათვის **12** წიგნი — **3** მან., ფულის შემოტანა შეიძლება ნაწილ ნაწილადაც.

ხელის მოწერა შეიძლება **ტფილისში** — „ნაკადულის“ რედაქციაში, ზუბალაშვილის ს., გოლოვ. პრ. № 8. Редакція „Накадули“ Головинскій пр. № 8. და წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში, სასახლის ქუჩ. **ქუთაისში** — ისიდორე კვიცარიძესთან, თ. მთავრიშვილთან, და მარიამ ყაუხჩიშვილთან. **სამტრედიაში:** ივანე გლადკოვთან, **ფოთში** — თეოფილე კანდელაკთან. **ბათომში** — კნ. სოფიო ნაკაშიძესთან და ტროფიმ ინასარიძესთან. **დ. ხონში** — ეკატერინე ვასილის ასულ ბახტაძესთან. **ოზურგეთში** — ლეო იმნაძესთან. **თელავში** — ვანო პაატაშვილთან. **ახალციხეში** — კონსტანტინე გვარამაძესთან. **ბაქოში** — ვასილ ახვლედიანთან და ივანე ელიაშვილთან. **გორში** — ნინო ლომაურთან და ქეთევან ჯავახიშვილთან. **სოხუმში** — კნ. მარიამ ანჩაბაძესთან. **ჭიათურაში** — ივანე გომელაურთან, **განჯაში** — ბ. ამბოქაძესთან **ერევანში** — კ. ოდიშარიასთან.

რედაქტორი **ნინო ნაკაშიძე.**

გამომცემელი **თავ. პავლე იოსების ძე თუმანიშვილი.**